საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030103010196419

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5432 **28 / მარტი / 2019 წ.**

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თ.მოდებაძეს

ბატონო თამაზ,

2019 წლის 28 მარტს სოციალურ მუშაკებთან გამართულ შეხვედრაზე განხილული და შეთანხმებული საკითხები გთხოვთ გააცნოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ თანამშრომლებს:

სოციალური სამუშაოს ეფექტური განხორციელების შესახებ სააგენტოს დირექტორის ბრძანებაში ცვლილების შეტანა და სიტყვა „საჭიროების შემთხვევაში“ ამოღება. 29.03.2019; - სააგენტო, თამაზ მოდებაძე;

2019 წლის სოციალური რეაბილიტაცია ბავშვზე ზრუნვის ადრეული განვითარების და შშმ ბავშვების და პირების დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ცვლილების და მისი განხორციელების პროცესში სოციალური მუშაკის შეფასების და დასკვნის ამოღება. 30.05.2019; სამინისტრო - ნინო ოდიშარია;

12 თვემდე ბავშვის ხელოვნური კვებით უზრუნველყოფის ქვე-პროგრამის განხილვა ბათუმის და გორის სოციალურ მუშაკებთან და წინადადებების წარდგენა კომისიისთვის. 22.04.2019 სამინსტრო - ნინო ოდიშარია;

იურისტების დამატება: ყველა რეგიონში დაემატება ერთი იურისტი ხოლო თბილისში 2; სააგენტო - თამაზ მოდებაძე;

თბილისში 1 ფსიქოლოგის დამატება, ხოლო სამუშაო ჯგუფის ფორმატში გამოვლინდეს ყველაზე დიდი საჭიროების მქონე რეგიონები და რეკომენდაცია მიეცეს სააგენტოს ამ რეგიონებში ფისქოლოგების აყვანის თაობაზე. საკოორდინაციო საბჭო და სააგენტო;

სოციალური მუშაკების დამატება; 50 სოციალური მუშაკის დამატების პროცედურები დაწყებულია. მათი აყვანის პროცედურა დასრულდება 30.04.2019; - სააგენტო, თამაზ მოდებაძე;

საპროცესო წარმომადგენლობის ტვირთის შემცირების მიზნით, სამუშაო ფორმატში სოციალურ მუშაკებთან ერთად ინდიკატორების ჩამოყალიბება (15.04.2019). საპროცესო წამომადგენლობის ტვირთის შემცირების ინდიკატორებზე დაყრდნობით (მათ შორის დამატებითი სპეციალიზირებული სოციალური მუშაკების საჭიროების დადგენა) შესაბამისი ღონიძიებების გატარება 30.04.2019 სამინისტრო, თამილა ბარკალია;

2019 წლის 28 მარტს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან მოლაპარაკების შედეგად მოხდა შეთანხმება, შესაბამისად სოციალური მუშაკის შეფასების ფორმაში განხორციელდება ცვლილება და ხელმოწერილი შეფასების ფორმა გადაეგზავნება სამხარაულის ბიუროს ელექტრონული ფოსტით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გახდება დასკვნის განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად ხელმოწერა და მისვლა აღარ დასჭირდებათ. პროექტი მომზადებულია და დამტკიცების სავარაუდო თარიღია 05.04.2019. სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი და სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტი;

ტრანსპორტირება - უკვე გამოყოფილია 12 მანქანა (მათ შორის 2 თბილისში), 15. 04.2019 -მდე დაემატება 11 მანქანა, ხოლო მაისის ბოლომდე მანქანების რაოდენობა გაიზრდება 30 ერთეულამდე. სააგენტო/ სამინისტრო თამაზ მოდებაძე, კახაბერ ძიმისტარიშვილი;

გადაუდებელი რეაგირების საჭიროების დროს, რეგიონზე მიმაგრებული მანქანის რესურსის სრულად გამოყენების შემთხვევაში სოციალური მუშაკები ისარგებლებენ ტაქსის მომსახურებით, 31.05.2019. სააგენტო თამაზ მოდებაძე;

ინფრასტრუქტურის და სამუშაო პირობების გაუჯობესების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება 15.05.2019 (ტენდერის წარმატებით დასრულების შემთხვევაში). სააგენტო თამაზ მოდებაძე.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო